ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№15 (77) ივლისი, 2009 წელი ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ჩატარდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა რომელზედაც განხილულ იქნა „ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის მდგომარეობის; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის საჩივარ—განცხადების შესწავლისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და დამტკიცებული დებულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვის მდგომარეობის, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის №240 განკარგულების შესაბამისად კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობის, ქ. ცაგერში დაგვა-დასუფთავების გრაფიკის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე საინვესტიციო პროგრამების მიმდინარეობის, ქვედა ცაგერში მცხოვრებ ვენერა დაშნიანის ოჯახზე დახმარების გაწევის შესახებ.“

საკრებულოს სხდომამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები.

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო—ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

ამოქმედდა საპრეზიდენტო პროგრამა

მიზანი: სოფლის პრობლემების გადაწყვეტა

კარგა ხანია, საპრეზიდენტო პროგრამა „სოფლის მხარდაჭერა“ ძალაში შევიდა, რაც ნამდვილად უპრეცენდენტო და უალტერნატივო ვარიანტს წარმოადგენს სოფლის ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა–რეაბილიტაციის და კეთილმოწყობის პირველადი რიგის სამუშაოების დასაფინანსებლად. პროგრამის განსახორციელებლად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მათ შემადგენლობაში არსებული ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალურ–ეკონომიკური პროექტების განსახოციელებლად გამოუყო 19. 998. 876 ლარი. პროგრამა ძირითადად გახლავთ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა და ითვალისწინებს სოფლის პირველი რიგის პრობლემების გადაწყვეტას, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიურობას. მთავრობის განკარგულებით ჩვენს მუნიციპალიტეტს გამოეყო 228.856 ლარი. ეს თანხა ძირითადად განისაზღვრა სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოებში შემავალი დასახლებების, ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობას. აქედან გამომდინარე ყველა ტერიტორიულ ორგანოს გადაეცა გარკვეული თანხა, რომლითაც მოგვარდება მთელი რიგი პრობლემები. ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან პერიოდულად გაგაცნობთ თუ როგორ და რაში იხარჯება თითოეულ სოფელზე გაცემული თანხა. ამჯერად **ქულბაქის საკრებულოს რწმუნებულს ალუდა თუთიასანს** ვეწვიეთ: „შეუძლებელია ადამიანმა არ დაინახო ის სასიკეთო ძვრები, რომელიც დღეს ხდება. პრეზიდენტი, საქართველოს დღევანდელ მთავრობასთან ერთად ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენი ქვეყანა ჩამოყალიბდეს ძლიერ სახელმწიფოდ. წარმოუდგენლად მიმაჩნია არ განასხვავო თუნდაც რამდენიმე წლის წინანდელი მდგომარეობა და ახლანდელი. პარალელი გაავლო და არ მიხვდე, რომ სწორედ აღმშენებლობის გზაზე დგას ჩვენი ქვეყანა. ყველამ უნდა შევიგნოთ, პრობლემა უცებ არ გადაწყდება. პროცესი ნელ-ნელა მიდის და სწორედ ესაა მთავარი. აი, თუნდაც საპარლამენტო პროგრამა „სოფლის მხარდაჭერა“ ამას მოწმობს. ყველა დამეთანხმება ბევრი პრობლემები მოგვარდება, ამით გლეხი იგრძნობს ხელისუფლების გვერდში დგომას და სოფელიც გაძლიერდება.

(დასასრული გვ. 2)

ფიქრები საქართველოზე

21-ე საუკუნე ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს ისტორიაში. მეოცე ასწლეულიდან მიღებული მძიმე მემკვიდრეობა განსაკუთრებული სიმძაფრით აისახება საქართველოზე, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის იბრძვის. ძირძველი ქართული მიწების მშობლიურ წიაღში დაბრუნებისათვის ქვეყნის სამართლიანი სწრაფვის მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყანა უჭერს მხარს. გამონაკლისი მხოლოდ რუსეთია, რომელსაც იმპერიული ამბიციები ამოძრავებს. ახალ ვითარებაში რუსი დერჟიმორდები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სამხრეთი კავკასია მათი გავლენის ქვეშ დარჩეს. თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხი კი ევროპისაკენ ილტვის. ორ ქვეყანას შორის ინტერესთა შეუთავსებლობა პერმანენტული დაძაბულობის ქვეშ ამყოფებს ქართველ ერს. ხელმძღვანელობდა რა გათიშე და იბატონეს პოლიტიკით, რუსეთი მე-19 საუკუნიდან აღვივებდა შუღლსა და მტრობას, ერთი მხრივ ქართველებსა და ოსებს შორის, ხოლო მეორე მხრივ ქართველებსა და აფხაზებს შორის. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რუსეთის წაქეზებით, აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა დამოუკიდებლობა მოითხოვეს. რუსეთის რეგულარული არმიის დახმარებით მათ შეძლეს მშობლიური მიწიდან აეყარათ ასიათასობით ქართველი და ლტოლვილად ექციათ. 2008 წლის აგვისტომდე რუსეთი ფორმალურად აღიარებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობას, საქმით კი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო წაეგლიჯა საქართველოსათვის და რუსეთის საკბილოდ ექცია. სამწუხაროდ, მალე მრწმენი აფხაზები და ოსები ანკესზე წამოეგენ, ცდუნებას აყვნენ, დავიწყებას მისცეს ქართველ ხალხთან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და საქართველოს ზურგი აქციეს. პუტინ–მედვედევის ტანდემმა დრო იხელთა და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, საერთაშორისო თანამეგობრობისაგან ნამალავად, დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარა. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა მათ დამოუკიდებლობას არ სცნობს, მაგრამ რა გამოვიდა, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით, რუსეთმა აფხაზეთისა და ოსეთის ოკუპაცია მოახდინა, რასაც ქვეყნის ხელმძღვანელობის დიდი ძალისხმევისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მიუხედავად, ჯერ დასასრული არ უჩანს. ასეთია მწარე რეალობა, რომელმაც დაღი დაასვა ჩვენს თანამედროვეობას. ქართველ ხალხს წილად ხვდა უბედურება, საკუთარი თვალით ეხილა უთანასწორო ბრძოლაში უმოწყალოდ დახოცილი და დასახიჩრებული შვილები, გადამწვარი სოფლები, იავარქმნილი ქალაქები, მშობლიური კერიდან აყრილი და დევნილად ქცეული თანამოძმენი.

მტერი თავის ამბიციურ გეგმებზე ხელს არ იღებს, არად დაგიდევს ხალხის უბედურებას და ახალი მეხთა ტეხით ემუქრება საქართველოს. ომებით მიყენებული ჭრილობებს რომ მოშუშება უნდა, ყველამ იცის. როცა მგელი მოდის, ძაღლები ჩხუბს წყვეტენ და საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართებიან. უცხო ესაც არ უნდა იყოს. როცა ეს ასეა, ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება, ქვეყნის ისტორიამ გმირებისა და თავდადების მრავალი მაგალითი იცის,

პოზიცია

მაგრამ ღალატიც რომ არ არის უცხო ქვეყნის წარსულისათვის. ამასაც ხომ დიდი განსჯა არ სჭირდება. თუ ეჭვი გეპარებათ, უკან გავიხედოთ და დავინახოთ უბედურების, რბევის, სისხლისა და ცრემლის მეტი რა მოუტანია ქვეყნისა და ხალხისათვის ურთიერთდაპირისპირებას. ჩვენი აშლილობითა და პოლიტიკური სირთულეებით ყოველთვის მოხერხებულად სარგებლობდა მტერი, ამით უნდა აიხსნას, რომ მომავლისადმი იმედიანი დამოკიდებულების მიუხედავად, ქვეყანა დღემდე ვერ გაიმართა წელში, რაც შეეხება საფრთხეს, მე თუ მკითხავს კაცი, ასეთი საშიშროების წინაშე საქართველო ჯერ არ მდგარა. აქედან გამომდინარე, ყველა წინააღმდეგობა და უთანხმობა გვერდზე უნდა გადავდოთ, მტყუანისა და მართლის გარჩევის დრო ჯერ არ დამდგარა, უნდა ერთმანეთს დადასულოვნად მივუტევოთ ჩვენი ადამიანური ცოდვები და შეცდომები, როგორც ამას უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე მოითხოვს და მამულს დავუდგეთ დარაჯებად, ვიდრე იარაღში კბილებამდე ჩამჯდარ მტერს მისთვის თავისუფლების პატივი არ აუყრია და დიდგორგამოვლილი უძლეველი დავითიანი დროშა

(დასასრული გვ. 2)

ეროვნული

ფიქრები საქართველოზე

(დასასრული)

ჭუჭყიანი ჩექმებით არ გაუთელავს.

ქვეყანას, რომელიც დიდი აღმშენებლობის გზაზეა გამოსული, სულის მოთქმის საშუალება უნდა მიეცეს. დროა ყველამ დაინახოს, რომ სიღარიბისგან ილაჯგაწყვეტილმა ადამიანებმა შვება იგრძნეს. დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა მიზერულ ხელისუფლებასა და პენსიასაც ვერ ღებულობდა ხალხი, ხოლო შიმშილობამ და სიღატაკემ მრავალი ჩვენი თანამემამულე იმსხვერპლა. ადამიანები ვერ იკმაყოფილებდნენ ელემენტარულ მოთხოვნებს. ქურდები, მძარცველები, მკვლელები კი დაუსჯელნი რჩებოდნენ. დღეს თუ კაცი უმადური არ არის და თვალთახედვის ისარი გამრუდებული არა აქვს, კარგად შეუძლია დაინახოს, რომ მსოფლიო კრიზისის მიუხედავად, ჩვენი ქალაქები და სოფლები ხარაჩოებშია ჩასმული, შენდება გზები, ხიდები, გაჰყავთ სასმელი წყლები, ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია სკოლები და საცხოვრებელი სახლები, მაქსიმალურად კმაყოფილდება ადამიანთა სოციალური მოთხოვნილებანი. ხალხი ამას გრძნობს და მადლიერებას არ მალავს.

შეძლება ამ არასრული ექვსი წლის მანძილზე, რაც ქვეყანას „ნაციონალური მოძრაობა“ და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მართავს, ყველაფერი ვერ მოესწრო, მაგრამ თუ ჩვენს შორის სანუკვარმა მშვიდობამ დაისადგურა, შორს არ არის ის დრო, როცა მავანს პრეტენზიების საფუძველი ხელიდან გამოეცლება და ცილისწამების მადაც დაეკარგება.

არც ის არის მოსაწონი, რომ ჩვენი სახნავ-სათესი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელი რჩება. მართალია, სახელმწიფოს მიერ დაწესებული დახმარების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში აკუმულირდება, მაგრამ თუ ლეჩხუმის სოფლებში მიწები არ მოიხნა, დოვლათზე, ხვავსა და ბარაქაზე, როგორც ამის სადღეგრძელოებში ვამბობთ ხოლმე, ლაპარაკი უზნეობა იქნება, არც ეს პროცესი რჩება შეუმჩნეველი ხელისუფლებას. აქეთკენ არის მიმართული სოფლის დახმარების პროგრამა, რომელიც წელს ამოქმედდა და დიდი მადლიერებით შეხვდა მოსახლეობა.

დროებითი წარუმატებლობა და მარცხი საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადეს ევროპის ქვეყნებმა, მაგრამ შეცდომების გაანალიზებით მიაღწიეს განვითარების ისეთ დონეს, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნება. ჩვენ არ დავმარცხებულვართ აგვისტოს ომში, გავუმკლავდით მტრის ჯოჯოხეთურ სამხედრო მანქანას, რომლის წინაშეც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ძრწის. მთავარი ის გახლავთ, რომ ვერ დაგვაჩოქეს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წმიდათა წმიდა იდეაზე ხელი ვერ აგვაღებინეს, მთავარია, ჩვენ არ გამოვიდეთ ხელის შემწყობის როლში.

ქუჩის პერმანენტული აქციებით, რომელიც ორ თვეზე მეტია გრძელდება, მტერი არ უნდა გავაცინოთ, პრეზიდენტის გადადგომის შესახებ ოპოზიციის ახირებული მოთხოვნას ყურს არავინ უგდებს, იმდენად აბსურდული და მიუღებელია საზოგადოებისათვის. ბოლოს, როგორც იქნა, ზოგიერთი ოპოზიციონერიც მიხვდა, რომ საკანი, როგორც ასეთი, მიუღებელია ქართული სინამდვილისათვის. თუ ამით იმას უნდა გაუსვან ხაზი, რომ საქართველო პოლიციური სახელმწიფოა, ცდებიან, რადგან დამნაშავე ყველა საზოგადოებაში ისჯებოდა და ისჯება. ისიც გავიხსენოთ, დაუსჯელობის სინდრომმა რა მძიმე შედეგები მოუტანა ქვეყანას და უახლოესი წარსულის უკან მობრუნებას ნურავინ ეცდება. კაცი, რომელიც საქმეს ვერ მიაგნებს და ყურადღების მიპყრობის მიზნით საკანში დაჯდება, ხალხის პატივისცემას ვერ დაიმსახურებს. თუ კანონის მოთხოვნა არ სრულდება და პატიოსანი ადამიანი იჩაგრება, ხმა ყველამ უნდა აიმაღლოს და პირველ რიგში ხალხის რჩეულმა, მაგრამ რეალობას არ უნდა ვუღალატოთ, ჯერ იმაზე ვილაპარაკოთ, რაც გაკეთდა და რასაც ყველა ხედავს, შემდეგ, კი ბატონო, ნაკლოვანებებზეც შეიძლება იყოს მიუკერძოებელი საუბარი. დღეს ყველამ საქმეს უნდა მოკიდოს ხელი და უმწეობისაგან წელში მოხრილ ქვეყანას მიეშველოს. ვისაც მუხლი უჭრის და გული ერჩის, მისთვის, როგორც გრიგოლ ორბელიანი იტყოდა ხოლმე, დიდებისა და სახელების ასპარეზია დაცლილი და თავის გამოჩენაც შეუძლია.

ო. ჭაბუკიანი

24. 06. 2009წ.

ამოქმედდა საპრეზიდენტო პროგრამა

მიზანი: სოფლის პრობლემების გადაწყვეტა

(დასასრული)

2 წელია მე გახლავარ ქულბაქის რწმუნებული. ამ დროის განმავლობაში სამჯერ მოიხრეშა სარეწკელა–ქულბაქის მონაკვეთი. ადგილობრივი მთავრობის მუნიციპალიტეტების გამგეობისა და საკრებულოს დახმარებით მოხერხდა ასევე შიდა სასოფლო გზების მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარება, რითაც სოფელი ხელისუფლების მადლიერია. ახლა რა დავგეგმეთ პროგრამით გათვალისწინებული ფულით: მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ ქულბაქში აიგოს ეკლესია, (ჩაგეგმილია 3525 ლარი), ხოლო ჩქუმში გაკეთდეს წყალსადენი (ჩაგეგმილი არის 3427 ლარი).

ტაძრის პროექტი სრულიდ უფასოდ გაკეთდა. არის შემოწირულობები სხვადასხვა სამშენებლო მასალის სახით. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა. ეს საქმეს წინ წასწევს. რაც შეეხება ჩქუმს–აქაც მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით და გადაწყვეტილებით კეთდება წყალსადენის მშენებლობა. პროექტით გათვლილი ერთი წყლის რეზერვუარის მაგივრად მოხერხდა ორი აუზის მოწყობა. შეძენილია მილები და მალე სოფელს წყლის პრობლემა აღარ ექნება. ასევე მინდა ვთქვა, თანხის ნაწილით სოფლის ერთ უბანში სავალი გზა მოიხრეშა. მათ ეს პრობლემა ჰქონდათ და მოვუგვარეთ.

ასე რომ, ჩვენი სოფლისათვის გამოყოფილი თანხის თითოეული თეთრი მიზნობრივად იხარჯება. სამადლობელის მეტი არ გვეთქმის.

ეკა ყვირილიანი

ზაფხულის იმ მშვენიერ საღამოს...

სოფელი ზუბი ზაფხულობით მშვენიერ ქალბატონს მასპინძლობს, თუმცა მას სტუმარი სულაც არ ჰქვია და როგორც ზუბელები ამბობენ, იზოლდა ხაინდრავა-ბენიძე მასპინძელიცაა მათი, გულშემატკივარიც და დიდად საპატივცემულოც. გარდა ამისა, მას აქვს ისეთი საპატიო მძიმე ტვირთი, როგორიც აწგანსვენებული, ყველასათვის საყვარელი პიროვნების (ყოველგვარი რეგალიების გარეშე, თუმც არც ეგ აკლდა) ვალერიან ბენიძის ღირსეული ქვრივობა და სამუდამო განსასვენებლის ერთგული მოდარაჯეობაა.

გმადლობთ, რომ არსებობთ და... გვავსებთ!

ქალბატონო იზოლდა პროფესიით ჟურნალისტია და ხშირად გვეხმიანება ხოლმე, უმეტესად მოფერებისთვის, რჩევებისთვის... ყველა შეხმიანების შემდეგ აბსოლიტური გულწრფელობით გვთავზობდა მასთან სტუმრობას.

...და ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ომარ ჭაბუკიანის ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით სოფელ ზუბში იზოლდა და ვალერიან ბენიძეების ნავსაყუდელს ვეწვიეთ. მიუხედავად ზაფხულისა, ბუხარში ცეცხლი აუგიზგიზებია დიასახლისს, ნამდვილი რომანტიკაა, საგანგებოდ შეუკრიბავს ჩვენთან სასაუბროდ განწყობილი ახლობლები და თავიდან სახლისშიგაკიბით ბატონი ვალერიანის ხელით მოწყობილ მარანში ჩავყავართ. ჩანს, ჩვენს სტუმრობასაც თავისი სცენარი შეუქმნა საოცარმა ქალბატონმა. პატარა ტაბლაზე განსხვავებული სანთელი ანათებს, განსხავებულია ყოფილი პატრონის მიერ შექმნილი თითოეული დეტალი... გარინდებულები ვგრძნობთ, როგორ ხარობს ბატონი ვალერიანის სული, რადგან მისი სათაყვანებელი ქალიც ხარობს...

შემდეგ იქიდან ამოსულებს აივნიდან ხელისგულივით გადაშლილი ლამაზი, სუფთა და მიუწვდომელი ტაძრისაკენ გაგვირბის თვალი და ყველაზე საინტერესო თემაზეც იხსნება საუბარი. ქალბატონი იზოლდა და ჯონი ჩაკვეტაძე (ტაძრის არქიტექტორი, ცაგერელებისათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი ადამიანი), გულდასმით იხსენებენ როგორ იდგნენ ტაძრის მშენებლობის სათავეებთან ბატონ ვალერიანთან ერთად, როგორ აწყდებოდნენ ყოველდღიურ წინააღმდეგობებს, ახლა ღიმილით იმასაც იხსენებენ, ზოგიერთებს ტაძარი მხოლოდ ილუზია რომ ეგონათ, მეუფე სტეფანეს დიდ ღვაწლსაც აღნიშნავენ და ზუბელების თავდადებასაც. ბატონი ვალერიანის სული კი ისევ გვეხმაურება ქათქათა ტაძრის ეზოდან, იქიდან, სადაც დამსახურებულად განისვენა მისმა სულმა და სხეულმა.

უკან, სახლში შებრუნებულებს, ანაზდად ქართული კინო—ფილმიდან „მზე შემოდგომისა“, ერთი ფრაზა გაგვახსენდა—„ამ ოჯახში სუფრაც კი ხელოვნების ნიმუშია“. ყველაფერი სადა, უცხო, უბრალო და მაინც დიდი სულის მატარებელი. ბატონი ვალერიანი სიცოცხლის ბოლო წლებში საოცრად რომანტიულ ლექსებს უძღვნიდა თურმე თავის თანამეინახეს, ისეთ რომანტიულს, ახალგაზრდა წყვილებსაც რომ შეშურდებოდათ კეთილი შურით.

თქვენ სწორედ ასეთი ბრძანდებით ქალბატონო იზოლდა, ლექსებს რომ უძღვნიან საყვარელი ადამიანები. ეს ცოტათი დაგვიანებული წერილი სამადლობლად მიიღეთ იმისთვის, რომ არსებობს და გვავსებთ!

გმადლობთ ჩვენო მშვენიერო მასპინძელო!

მარინა სვანიძე

ინფორმაცია

საქართველოს კანონების, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილის საფუძველზე ცაგერის შპს №16 საექსპლოატაციო სამმართველოს შეუერთდა ცაგერის შპს საგზაო სამმართველო.

დაევალა ცაგერის შპს №16 საგზაო სამმართველოს დირექტორს (უსუპი ჭაბუკიანი) უზრუნველჰყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული საზოგადოების შერწყმა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით; ამასთან შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია და სათანადო დოკუმენტაციების წარმოდგენა.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა სსიპ „საწარმოთა მართვის“ სააგენტოს დარგობრივი ეკონომიკის ჯგუფს.

საქმიანი შეხვედრა, ჰრეს ლიმაზი შოკ

ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის კოლექტივი ნამდვილად გვანებივრებს არა ერთი საქმიანი და ლამაზი ღონისძიებით.

ივნისის ერთ დღესაც მოსწავლეთა ხელით შესრულებული მოსაწვევი ბარათი მივიღეთ–მხატვრულ ღონისძიებაზე–„გვიყვარდეს საქართველო!“–გვიწვევდა სოფლის დირექცია.

სკოლის დარბაზი სავსეა მუსიკით, სიხარულით, ბედნიერი სახეებით. ფუსფუსებენ ბავშვები და პედაგოგები, ისინი სიყვარულით ეგებებიან სტუმრებს. აქ მოვიდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ომარ ჭაბუკიანი, ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორად ნუნუ ჩაკვეტაძე და ამავე სკოლის პედაგოგები, ცაგერის რესურს ცენტრის წარმომადგენლები, სახალხო ბანკის მმართველი ნინო კოპალიანი, ქვედა ცაგერის საკრებულოს რწმუნებული გია ლეთოდიანი, საქართველოს პარლამენტის წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის კარლო კოპალიანის ბიუროს თავმჯდომარე ბელა საღინაძე და სხვები.

შეხვედრა გახსნა და სიტყვით გამოვიდა ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორი **ნუნუ კოპალიანი:**

„თითოეულ თქვენგანს მოგილოცავთ კიდევ ერთი სასწავლო წლის დასრულებას. დღევანდელი ჩვენი შეხვედრა ნაწილია განათლების სამინისტროს იმ რეფორმისა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებას, ეროვნული ფასეულობების პატივისცემას, ტრენინგებს, სკოლების გაახლებას ჯანსაღი ურთიერთობის გაღვივებას, სიახლის დანერგვას, გამოცდილების გაზიარებას და ა.შ.

განათლების სამინისტროსა და საგანმანათლებლო ასოციაციის მიერ სკოლის დირექტორებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომლის მიზანი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ფასეულობების გავრცელება სკოლის საზოგადოებაში, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება სკოლასა და საზოგადოებას შორის. გადავწყვიტეთ შეგვექმნა სასკოლო ქსელი, რომელშიც გაერთიანდა ახლომდებარე ქვედა ცაგერისა და ბარდნალის სკოლები. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სკოლის განვითარების ერთობლივი პროექტი–„წარმატებული სკოლა“. გავცვალეთ დელეგაციები, გახლდით ცაგერის საჯარო სკოლაში, სტუმრად გვყავდა ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი. მალე ჩვენ ვეწვევით ამავე სკოლას.

ქვედა ცაგერის საჯარო სკოლამ წარმატებით დაასრულა სასწავლო წელი. ჩვენი დღევანდელი ზეიმიც ერთგვარი ანგარიშია გაწეული მუშაობის, მადლობა თითოეულ სტუმარს, ყველას, ვისთვისაც ნამდვილად არ არის სულერთი ჩვენი შვილების განსწავლულობა და აღზრდა, მათი მომავალი.

უნდა გითხრათ, რომ სკოლამ არა ერთი გამარჯვება მოიპოვა გასულ სასწავლო წელს.

ამის დადასტურებაა 12 პირველი ხარისხის დიპლომი. „ნორჩი კალიგრაფისტის“ რესპუბლიკურ კონკურსში გაიმარჯვეს მე-3 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი სულიკო მუშკუდიანი). 4 პირველი ხარისხის დიპლომი ამავე ნომინაციაში მიიღეს მე-4 კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი აზა ლიპარტელიანი).

პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს დ. საღინაძემ (გეოგრაფიაში, მასწავლებელი დავით კოპალიანი) თ. ხვადაგიანმა (ისტორია, მასწავლებელი მარინა ლეთოდიანი) შ. ჩანქსელიანმა (ქართული, მასწავლებელი ნანა კენჭაძე). მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდენ ნ. ჩხეტიანი, ნ. ქომეთიანი (გეოგრაფია).

სკოლის დირექტორმა ილაპარაკა სხვა მიღწევებზე, ასევე გასაკეთებელზე, სამომავლო გეგმებზე.

ამის შემდეგ დაიწყო ინტელექტუალურ-შემეცნებითი შოუ–„გვიყვარდეს საქართველო“. იგი მიჰყავდა მეათე კლასის მოსწავლეს ხატია ციხილაძეს. გუნდებს დათო ლეთოდიანი და თემურ საღინაძე ხელმძღვანელობდნენ. სხვათაშორის ორივე გუნდმა დაიმსახურა დარბაზის სიმპათია.

შოუ ძალზე გაალამაზა ანა ზურაბიანის მიერ შესრულებულმა სოლომ.

ლამაზი საკუთარი ლექსი წაიკითხა მეშვიდე კლასის მოსწავლემ შოთიკო ჩანქსელიანმა.

შემეცნებით კითხვებს ცვლიდა უფროსკლასელი ვაჟების პაროდიები, ხალხური სამღერები, ხუმრობები, ცეკვები: „ხორუმი“, „აჭარული“, „სვანური“.

სცენარის რეჟისორი და ქორეოგრაფი გახლდათ მასწავლებელი ცისანა მუშკუდიანი, მუსიკალური ხელმძღვანელი მაკა დავითულიანი.

მადლობა მათ ამ დასამახსოვრებელი დღისათვის.

განათლების პროფკავშირის თავმჯდომარემ ნანა კოპალიანმა მიღწევებისათვის მადლობა გადაუხადა სკოლის დირექციას და საჩუქრები გადასცა.

„გაიმარჯვებს, გაბრწყინდება, ჩემი საქართველო!“

ამ ცნობილი, იმედიანი მუსიკალური ფრაზით დაგვემშვიდობენ მოსწავლეები, ჩვენ კი აპლოდისმენტებით გავაცილეთ ისინი.

შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა სამასწავლებლოში გადავინაცვლეთ. აქ ტრადიციულ ქართულ სუფრაზეც გაგრძელდა საქმიანი და სკოლის საჭირისუფლო საუბარი

მარინა სვანიძე,
მზევინარ ძნელაძე

გვწერენ

წყლის სათავე-ნაგებობა შველას ითხოვს

ლაჯანურჰესის მშენებლობა 1952 წლის შემოდგომაზე დაიწყო. ვიდრე მუშა-მოსამსახურეები მოვიდოდნენ და საქართველოში პირველი თაღოვანი კაშხლის მშენებლობას შეუდგებოდნენ, ლაჯანაში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, მთელი დასახლება გაშენდა თავისი ინფრასტრუქტურით. რა თქმა უნდა, წინასწარ გაიყვანეს სასმელი წყალიც, რომლითაც, მშენებლებთან ერთად სარგებლობდა ლაჯანის, გაგულეჩისა და ორბელის მოსახლეობა. ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური 1961 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ მშენებლებმაც დასახლება დატოვეს და ენგურჰესზე გადავიდნენ სამუშაოდ, მაგრამ მოსახლეობა, ორბელის ღვინის ქარხანა, ყოფილი სკოლა-ინტერნატი, მუშაახალგაზრდობის საშუალო სკოლა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ნახევარი საუკუნის წინათ გაყვანილი წყალსადენის იმედზე დარჩა.

სამწუხაროდ ამ ხნის განმავლობაში ლაჯანის წყალსადენის სათავე ნაგებობა არავის გახსენებია, როცა ძლიერ დაზიანდა, დაკარგა ჰერმეტიზაცია და ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას, ამან გამოიწვია სასმელი წყლის დაბინძურება, გაჩნდა ინფექციის გავრცელების რეალური საფრთხე, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მხრიდან ეს საკითხი არაერთხელ დაისვა, თანხების უქონლობის გამო, წყალსადენის სათავე ნაგებობის აღდგენა აქამდე არ მოხერხდა, როცა საფრთხე ყოველდღიურად იზრდება.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რაოდენ მასშტაბურ სამუშაოს აწარმოებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომსახურებისათვის, საერთოდ სასმელი წყლის პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტილებისათვის და ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი სამართლიანი თხოვნაც დროულად დაკმაყოფილდება, მით უფრო, რომ სათავე ნაგებობის აღდგენისათვის არც ისე დიდი თანხებია საჭირო და მთავარიც მონდომებაა.

ორბელის თემის
მოსახლეობა

ჩვენი ეკლესია-მონასტრები

ლეჩხუმი ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების (ეკლესია-მონასტრები და ციხე-კოშკები) სიმრავლით, ნაგებობათა არქიტექტურის უნიკალობით და მშენებლობის კულტურით. მათგან ბევრი უძველესი ხანისაა, დღეისათვის ზოგი მათგანის ნანგრევიც აღარ არსებობს. ბოლო პერიოდში რამდენიმე ეკლესია (ტვიშის, თაბორის, ლაილაშის, ჭიქელაშის, ლაბეჭილის, წმინდა მაქსიმე მურში). აღდგენილია. აშენდა ახლები: ზუბის წმ. გიორგის, ლასურიაშის... მშენებარეა ცაგერის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძარი, ბარდნალისა და მახაშის ეკლესიები.

ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღრიცხულია სამოცდაათზე მეტი მოქმედი და აუმოქმედებელი ეკლესია-მონასტერი, ოცდაათზე მეტი ციხე-კოშკის ნანგრევი.

სიძველის მიხედვით, გამოირჩევიან ადრეული ხანის (IX,X,XV ს.ს) გვესოს კომპლექსი, ლაბეჭინის, გონისა და თაბორის ეკლესია-მონასტრები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვესოს კომპლექსს, ვინაიდან იგი ლეჩხუმის უძველეს საკულტო ნაგებობებს შეიცავს. ეს კომპლექსი სოფლის განაპირას პლატოზე მდებარეობს. იგი აგებულია კლდოვან შემაღლებაზე. ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში კარიბჭისა და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთია, სამხრეთით ხეობისაკენ ოთხკუთხა კოშკში, ხოლო შუაში ოდესღაც მშვენიერი, დღეს ნანგრევებად ქცეული ტაძარი დგას.

მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა ჩანს რომ ეკლესია რთული აგებულების მქონე სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ძეგლის საერთო აგებულება, მისი მონუმენტურობა, აფსიდების ნალისებური მოყვანილობა და კედლის წყობის ხასიათი, სპეციალისტებს აძლევს საშუალებას თქვან რომ, ის IX–X სს. ძეგლია.

ეს დიდი ზომის სამეკლესიანი ბაზილიკა შიგნიდან მოხატული უნდა ყოფილიყო, რაც კიდევ უფრო საზეიმო იერს მისცემდა ნაგებობას.

სპეციალისტებს მიაჩნიათ რომ, გვესოს კომპლექსი საერთო გალავნით შემოზღუდული ეკლესია და ციხე-კოშკი ერთი დროის მშენებლობას განეკუთვნება.

კოშკისათვის ფართო კიბის მიშენება, ამ ნაგებობის სარეზიდენციო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს, სადაც, საფიქრებელია, სასულიერო ხელისუფლება იჯდა.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ბიზანტიური ეპოქის ბერძნული ენის მიხედვით თეოდოს განგრელთან მოხსენიებული თაკვერის ციხის შესატყვისად უფრო „ცაგერი“ უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე „თაკვერი“. წმინდანის მაქსიმეს სახელი ისედაც იქნებოდა დაკავშირებული ლეჩხუმთან, რადგან ერთ-ერთი მისი მოწაფე თაკვერში „ცაგერში) იყო მოთავსებული. (გეორგიკა ტ. IV ნაკ. 1, თბ. 1941 წ.).



თუ პირველ წყაროში მართლაც ცაგერის ციხეზეა საუბარი, მაშინ სრული უფლება გვაქვს ასეთად გვესოს ციხე მივიჩნიოთ. მას ადასტურებს ავტორთა ჯგუფი („ლეჩხუმი“ გვ. 21). ისიც შეიძლება რომ, მის გვერდით არსებული ეკლესია წმინდა მაქსიმეს და მის მოწაფეთა სახელს დაუკავშირეს. ცნობილია რომ, ქრისტიანობის ადრეული ხანებიდანვე, ეკლესიები შენდებოდა მარტვილთა პატივსაცემად. როგორც ავტორთა ჯგუფს მიაჩნია და მეც ასე ვფიქრობ, ეს უდიდესი სტიმული იქნებოდა შემდგომში აქ საეპისკოპოსო კათედრის დაარსებისათვის.

„გვესოს სამლოცველო თავისი სიძველით და გამორჩეული ხუროთმოძღვრებით, სავსებით შეეფერება საეპარქიო ცენტრს, რომლის მსგავსი ლეჩხუმში სხვა არ არის. (ავტორთა ჯგუფი „ლეჩხუმი“).

გვესოს ციხე, როგორც ზემოთ ითქვა, მიჩნეულია არა მხოლოდ თავდაცვის კოშკად, ის საცხოვრებელი რეზიდენციაა, შესაძლოა სასულიერო მოღვაწეების. ამას ადასტურებს ირგვლივ არსებულ ნაგებობათა მთელი კომპლექსი. ციხე ბატონობს ცაგერის მთელ ქვაბულზე სარეწკელას ვიწრობამდე.

VII-IX საუკუნეთა ბიზანტიურ წყაროებში, სადაც ლაზიკის საეპისკოპოსებია დასახელებული, ცაგერელი ეპისკოპოსი არ ჩანს. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ რომ, საეპისკოპოსო კათედრა ლეჩხუმში IX-Xსს. დაარსდა. მისი რეზიდენცია იქნებოდა გვესოს კომპლექსი. გვესოდან ცაგერში საეპისკოპოსო კათედრალი XIს. უნდა იყოს გადმოტანილი. ამ აზრის ერთ-ერთი დადასტურებაა ის რომ, დღეს ცაგერში მდგარ ეკლესიას მრავალი ნგრევა-განახლების გამო სიძველის იერი სრულიად დაკარგული აქვს. მისი თავდაპირველი მდგომარეობიდან, როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, შემორჩენილია მეტად საინტერესო დახვეწილი ჩუქურთმებით შესრულებული ცაგერის ეკლესიის კარი XIს. დათარიღებული. ე.ი. ცაგერში საკათედრო ტაძარი XI საუკუნიდან უნდა არსებობდეს.

ჯერჯერობით პირველი ცაგერელი ეპისკოპოსი იხსენიება იშხანის (ტაო). ჯვარზე. ანტონი რომელიც ჯერ იყო ცაგერელი, შემდეგ იშხნელი ეპისკოპოსი გამხდარა. სწორედ XI ს-ში ანტონ ცაგერელს ვერცხლის ხატი შეუწირავს იშხნის ეკლესიისათვის. (ექვთიმე თაყაიშვილი)

იკვეთება რომ, ლეჩხუმში პირველი საეპისკოპოსო კათედრა არსებობას IX-X სს. დან და მისი რეზიდენცია იყო გვესოს კომპლექსი. კათედრალი გადმოტანილი იქნა ცაგერში XI ს-დან იმ ეპოქაში ლეჩხუმთან ერთად საეპისკოპოსოში შედიოდა ქვემო სვანეთისა და ზემო სვანეთის ნაწილი. ცხადია ასეთი ნაბიჯი ლეჩხუმ-სვანეთში ქრისტიანობის გაძლიერებისთვის იყო გადადგმული.

დავით კოპალიანი,
ცაგერის ისტორიული მუზეუმის
მეცნიერმუშაკი.

რეზერვი ქალაქს წყლით მოამარაგებს

ზაფხულია. პაპანაქება მზე დილიდანვე აფრქვევს მცხუნვარე სხივებს, ქალაქის მცხოვრებლები თავიანთ საქმეში გართულები შესქცერიან გავარვარებულ ზეცას და სიცხისაგან ნირწამხდარები, სულმოუთქმელად უცდიან, როდის ჩაიფერფლება დღის მცხუნვარება. მზისგან ჩამოღვენთილ მათ გულებს კი ერთი პეშვი წყალი სიცოცხლის ნიშანწყალს მისცემს და წაქცეულს ფეხზე ისე წამოაყენებს, თითქოს მზეს დავიწყებოდეს მათთვის სხივის ტყორცნა. ჩვენი ონკანების შემყურე სად არის წყალი?! არადა უსულოსა და სულიერს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს სიცოცხლისთვის გვჭირდება წყალი. მკლავებდაკაპიწებული მოსახლეობა კილომეტრიდან ეზიდება წყალს ამ მცხუნვარე დღეებში. ირგვლივ მიმოიხედავ და გულის განგმირავად ისე მოანგრევს „ცხენისწყალი“ თუ სოფლის ღელეები თავიანთ კალაპოტს, თითქოს აქაურობის ჩანთქმას ლამობენ, მაგრამ ქალაქს სანატრელი აქვს სასმელი წყალი. კომუნალური სამსახურისა და მისი ხელმძღვანელობის უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, პრობლემად რჩება, კითხვა–რატომ არ არის წყალი? დღემდე პასუხი გაუცემელია.

ორიოდე წლის წინ ჩვენს რაიონს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ბატონებმა ავთანდილ სილაგაძემ და ყოფილმა გამგებელმა ვახტანგ კერესელიძემ მათ ინიციატივა გააცნეს ქალაქის წყლის უზრუნველყოფაზე. შემოვლილი იქნა ახლო-მახლო ტერიტორიები, აღმოჩნდა, რომ აქ არსებული წყლის მარაგი არ იყო საკმარისი ქალაქის სრული წყალმომარაგებისთვის. ამიტომ ქალაქიდან მოშორებით, სოფელ ზედა ლუხვანოს ტერიტორიაზე, ეგრეთ წოდებულ „სამგლიას მთაზე“ აღმოჩენილ იქნა წყალი, რომელიც თვითდინებით შემოვიდოდა რეზერვში და უზრუნველყოფდა ქალაქს სასმელი წყლით. მსოფლიო ბანკმა ერთდროულად ორი პროექტით დააფინანსა–ქვედა ცაგერისა და ცაგერის წყალსადენის რემონტი. პირველად მოხდა ქვ. ცაგერის წყალსადენის რეაბილიტაცია.

2009 წლის მარტში დაიწყო ზრუნვა მეორე პროექტის განხორციელებაზე, სარემონტო სამუშაოები ქალაქის წყლის მომარაგებაზე დღემდე მიმდინარეობს, რედაქცია დაინტერესდა ამ საკითხით და გავესაუბრეთ **ლუხვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რწმუნებულს ბატონ ავთო კოპალიანს**–„დღეის მონაცემებით სამუშაოს ძირითადი ნაწილი შესრულებულია, შემოზიდულია ყველა საჭირო სამშენებლო მასალა, მილები ჩამოტანილია უკრაინული ქარხნიდან–114 დიამეტრის, 3 მმ სისქის, ცემენტი, ბლოკი, ბეტონის წრეები ჭებისათვის მოგვაწოდა ქუთაისის სხვადასხვა სამშენებლო მაღაზიებმა. გაჭრილია თხრილი დაახლოებით 5000 მეტრის ოდენობით, შედუღებულია ამავე რაოდენობის მილები. ამ დღეებში მოხდება მილების დაფარვა მიწით, გარემონტებულია წყალსაცავი აუზი, აშენებულია საქლორატორო და საყარაულო ჯიხურები. მიმდინარეობს სათაო ნაგებობის მშენებლობა, დასაქმებულია ადგილობრივი მუშა-ხელი 40-50 კაცის ოდენობით, როგორც მუშა, ასევე მექანიზატორი- და ტექნიკური პერსონალი“.

„2009 წლის მარტში დაწყებული წყალსადენის სარემონტო სამუშაოები გეგმის მიხედვით უნდა დამთავრდეს 2010 წლის აპრილში. ვიმედოვნებთ, რომ წყალსადენი მოქმედებაში შევა ამ წლის სექტემბერში. პროექტის დასრულების შემთხვევაში მიიღებენ და ჩაიბარებენ დამფინანსებელი მსოფლიო ბანკი, მშენებელი შპს „ოდა“, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები.“.

რეზერვი ქალაქს თვითდინების წყლით მოამარაგებს და პროექტის გამართლების შემთხვევაში უამრავი ოჯახის უმთავრესი პრობლემა გადაიჭრება. ისედაც გაუსაძლის ცხოვრებისეულ პირობებში დაღლილ-დაქანცული ჩვენი მოსახლეობა თუ სასმელი წყლით განებივრდება, მერწმუნეთ კეთილ სურვილებს არ მოაკლებს ამ საქმის ინიციატორებს, დამფინანსებლებს, შემსრულებლებს.

წყლის ძალა მოგცეთ ღმერთმა!

ეკა ბენდელიანი

ფონდ „ერთგულების“ ეგიდით

ცაგერის მუნიციპალიტეტს გადმოეცა ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც საქველმოქმედო ფონდ „ერთგულების“ ეგიდით გაკეთდა. ტვირთი განსაზღვრული იყო ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობაზე გადასაცემად. ჰუმანიტარულ ტვირთში შედიოდა მეორადი ტანსაცმელი, თეთრეული, ბავშვთა კვება (0-დან 5 წლამდე ჰიპის პროდუქტები). ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელობით ტვირთი გაიცა თემის საკრებულოების რწმუნებულთა მეშვეობით და მოიცვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული ოჯახები—სულ 712, ხოლო ბავშვთა კვების პროდუქტები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 0-5 წლამდე ყველა ბავშვზე. ასევე ტვირთი დაურიგდათ ცაგერის მუნიციპალიტეტში კომპაქტურად ჩასახლებულ (სასტუმროს შენობა) ლტოლვილებსაც.

საქველმოქმედო ფონდი „ერთგულება“ არაერთხელ გამხდარა ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთ ჰუმანიტარული აქციების ინიციატორი, რისთვისაც მადლობა არაერთმა ტვირთმიღებულმა ოჯახმა და პიროვნებამ ხმამაღლა გამოხატეს, მადლიერებას არ იშურებენ ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლების მისამართითაც, რომლებმაც გააკეთეს ტვირთის ტრანსპორტირება და ორგანიზებული დარიგება. ალბათ იმაზე უკეთესი გრძნობა არ არსებობს ამ ქვეყნად, როცა ხედავ ერთი ადამიანი მეორეს დახმარების ხელს როგორ უწვდის, მოყვასს მოყვასი გაჭირვებიდან როგორც გამოჰყავს!..

მარინა სვანიძე

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 10 ივლისის № 52 ბრძანებით, ცაგერის მუნიციპალიტეტის შიდა_სასოფლო გზების ქ. ცაგერის თავისუფლებისა და აღმშენებლის ქუჩების სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ფასთა ჯვოტირების საშუალებით.

შესასყიდი სამუშაოები დაყოფილია 7 ლოტად ჰენდეტენტის ბანცხადების მიღება შედგება 2009 წლის 20 ივლისს 12 საათამდე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №

ლოტი №1

—სოფ. ორხვში სკოლასთან მისასვლელი გზის აღდგენა

—სოფ. საირმის შიდა საავტომობილო გზა

—სოფ. სპათაგორის შიდა საავტომობილო გზა

—სოფ. გაგულეჩის შიდა საავტომობილო გზა

—სოფ. უსახელოს შიდა საავტომობილო გზა

ლოტი №2

—კურორტ ლაშიჭალის საავტომობილო გზა.

—სოფ. ლაჯანაში გზის აღდგენა ელიაშის ღელეზე

ლოტი №3

—სოფ. ოყურეშის საავტომობილო გზა

—სოფ. აღვის შიდა საავტომობილო გზა

ისუნდერი— ზუბის შიდა საავტომობილო გზა

ლოტი№4

—სოფ. წიფერჩის შიდა საავტომობილო გზა

—სოფ. ბარდნალაში შიდა საავტომობილო გზა

—სოფ. ლარჩვალში მეწყრულ უბანში დროებითი გზა.

ლოტი №5

1. სოფ. ლუხვანოს შიდა საავტომობილო გზა
2. სოფ. ჭალისთავის შიდა საავტომობილო გზა.
3. ქვ. ცაგერში სახრაველას ღელეზე შიდა საავტომობილო გზა
4. ქვ. ცაგერში რაბიყანის ტერიტორიაზე საავტომობილო გზა.

ლოტი№6

1. ქ. ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის შიდა საავტომობილო გზა
2. სოფ. სხუტელის შიდა საავტომობილო გზა
3. სოფ. ლასხანის შიდა საავტომობილო გზა
4. სოფ. სანორჩში შიდა საავტომობილო გზა

ლოტი №7

1. ქ. ცაგერში თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობა

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზ. მინდაძე

საქართველოს მთავრობის №347 2009 წლის 8 მაისის განკარგულებით

საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 360 000 (სამას სამოცი ათასი) ლარის ოდენობით.

რომლითაც განხორციელდება

ა) ბარდნალის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ბ) ლაჯანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

გ) აღვის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

დ) უსახელოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ე) საირმის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ჩატარდა ტენდერი

რომლის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულნი შპს „გონი“ და შპს „ნინო“.

შპს „ნინოს“ შესყიდვის ობიექტის, ამ შემთხვევაში შესასრულებაა ლოტი №2 -ზე 90.100.72 ლარი (ოთხმოცდაათი ათას ასი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრთი) მ/შ. სოფ ლაჯანის საჯარო სკოლა 49886,27 ლარი, სოფ. თაგორის საჯარო სკოლა 21595,85 ლარი, სოფ. საირმის საჯარო სკოლა 18618,60 ლარი (საერო და თითოეული ობიექტის ღირებულება აღებულია დღგ—ს გათვალისწინებით).

შპს „ნინოს“ შესყიდვის ობიექტის ამ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა ლიტი №2-ზე 90100,72 ლარი (ოთხმოცდაათი ათას ასი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი). მ/შ სოფ. ლაჯანის საჯარის სკოლა 49886,27 ლარი, სოფ. საირმის საჯარო სკოლა 18618,60 ლარი (საერთო და თითოეული ობიექტის ღირებულება აღებულია დღგ-ს გათვალისწინებით).

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

შესყიდვის ობიექტის გარანტიაა სამუშაოს მიღებიდან 5 წელი.

ალვის სამკურნალო წყალი ისევ მოგვემსახურება

ჩვენი რაიონის და არა მარტო ჩვენი რაიონის, საშუალო და ხანდაზმული ასაკის ადამიანებს, რომლებსაც აწუხებდათ რევმატიული, ძვალსახსროვანი, ალერგიული და ნევროლოგიური დაავადებები, ალბათ ეხსომებათ ალვის ე.წ. აბანოს უნიკალური სამკურნალო თვისებები. იყო დრო, როდესაც სეზონზე 400-500 კაცი ისვენებდა აქ და იღებდა გოგირდოვანი წყლის აბაზანებს, შედეგიც განსაცვიფრებელი იყო, რაც დადასტურებულია არა მარტო ქართველი, არამედ რუსი, პოლონელი და სხვა მეცნიერების მიერ, რომლებიც სწავლობდნენ აღნიშნული სამკურნალო წყლის შემადგენლობას. მართალია, 70-იან 80-იან წლებში დასასვენებელი ინფრასტრუქტურა აქ ძალზე მარტივად იყო განვითარებული, მაგრამ რაც იყო, ისიც დიდი შეღავათი გახლდათ მოსახლეობისათვის. გასული საუკუნის ბოლო წლებში კი რაც იყო, ისიც განადგურდა. კიდევ უფრო მეტი, სამკურნალო წყლის სათავის მახლობლად ჩამომდინარე ღელემ საფრთხე შეუქმნა და წარმოშვა მისი წალეკვისა და გაქრობის საშიშროება. აღნიშნულის შესახებ საკითხი დაისვა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში, რამაც უკვე გამოიღო შედეგში. შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა აღნიშნული მდგომარეობა და შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელმაც უნდა განაპირობოს ამ უნიკალური სამკურნალო წყლის გადარჩენა. ამასთანავე წყაროს წყლით მომარაგდება ზედა ალვის 27 ოჯახი, რომელიც სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის.

ამ საქმის გადაწყვეტისათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობას ომარ ჭაბუკიანს, ზვიად მინდაძეს, ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომელთაც ეს საშვილიშვილო საქმე უნდა განახორციელონ და კიდევ ერთი, როგორც იქნა, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა იმის გარემოება, რომ სოფელს, მის ინფრასტრუქტურას მიხედონ, რაც კიდევ უფრო სამომავლო იმედებს გვიჩენს.

ზედა ალვის და საბჭოს უბნის მაცხოვრებლები

ეს სირცხვილია

ვინ აბინძურებს ქალაქს!

რბილად რომ ვთქვათ, უმადური უნდა იყო, ქალაქის განაშენიანებისა და იერსახის სასიკეთოდ შეცვლა ვერ დაინახო. ეს მისასალმებელია და ყველას გვახარებს, მაგრამ არის შენობა-ნაგებობები, ნანგრევები, ადგილები, რომლებიც, არც მეტი, არც ნაკლები, ნაგვის ბუდედაა ქცეული.

ყოფილი რაიკოოპერატივის შენობის წინა ფლიგელში პირველი სართულის მხოლოდ კედლები ალბათ ყველას შეგინიშნავთ. ახლა, როცა ზაფხულია და საშინლად ცხელა, არ შეიძლება აქ გავლისას საშინელმა სუნმა და სიბინძურემ თქვენი ყურადღება არ მიიქციოს. არ გადავაჭარბებთ, ეს ადგილი, უკაცრავად ამ სიტყვისთვის და ნამდვილ საპირფარეშოდაა გადაქცეული.

ქალაქის სისუფთავე და სანიტარული წესრიგი თითოეული ჩვენთაგანის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. ამაზე ბევრჯერ გვითქვამს და ბევრჯერ დაგვიწერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ კონკრეტულად ეს შენობა, ისე როგორც არა ერთი სხვა, შესყიდულია. ამიტომ მეპატრონეა ვალდებული დაასუფთავოს იგი, არ დაანაგვიანოს ქალაქი, ვფიქრობთ, ჩვენი შეხსენება მაინც შეაწუხებს და მოაშორებს ამ სიბინძურეს ქალაქის ცენტრს.

მოწოდებულმა ორგანიზაციებმა კი იქნებ მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ ასეთ თანაქალაქელ მეპატრონეთა მიმართ

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია



კონკურსში გამარჯვებისათვის

თანამედროვე სკოლაში სწავლება მიზნად ისახავს ისეთი პიროვნების ფორმირებას, რომელიც მზად იქნება მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრუნოს თვითგანვითარებისათვის. სასწავლო წლის მანძილზე თითოეულ სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მოზარდის გონებრივ და ფიზიკურ სრულყოფას.

თითოეული გაკვეთილი, მასწავლებლის მიერ დახარჯული თითოეული წუთი მიზნად ისახავს მოსწავლის აღზრდა-ჩამოყალიბებას, კრიტიკული აზროვნების შემოქმედებას და კომუნიკაციის უნარს, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის სწორად წარმართვის უნარს, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გასული წლის ნოემბერში განათლების სამინისტროსთან არსებული ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ გამოცხადდა კონკურსი —„საუკეთესო შემოქმედი“.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის III-IV კლასის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა (ს. მუშკუდიანი, ა. ლიპარტელიანი).

III კლასის 12 მოსწავლემ და IV კლასის 5 მოსწავლემ დაიმსახურეს I ხარისხის დიპლომები, მადლობა გამოეცხადა ნაყოფიერი და გულისხმიერი მუშაობისათვის III კლასის მასწავლებელს სულიკო მუშკუდიანს.

ამავე ცენტრის მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსში მასწავლებელთა შორის ნომინაციით—„საუკეთესო კალიგრაფიული ნამუშევარი“. I ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა IV კლასის მასწავლებელი აზა ლიპარტელიანი.

კონკურსში გამარჯვებული მასწავლებლები და მოსწავლეები ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა ზვიად მინდაძემ, ექსკურსიით დააჯილდოვა მარშრუტით ცაგერი-ბათუმი-ცაგერი.

საქართველოს პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნანა კოპალიანმა გამარჯვებულ მასწავლებლებს ფასიანი საჩუქრებით გადასცა.

კონკურსში გამარჯვებულებს გარკვეული წახალისება აღუთქვა ცაგერის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა.

კონკურსში გამარჯვებული თითოეული მონაწილე მადლობას უხდის აღნიშნულ პიროვნებებს გაწეული ყურადღებისათვის.

ჩვენი რედაქცია უერთდება რესპუბლიკური დონის კონკურსში გამარჯვებულთა სიხარულს და თითოეულ მონაწილეს უსურვებს შემდგომ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თამარ დავითულიანი

თამუნა ჯიაქის ტკივილიანი მონატრება

ხსოვნა

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო თამუნა! შენ ხომ 23 ივლისს 26 წელი შეგისრულდებოდა.

დრო რა უცებ გავიდა, 9 წელიწადია, რაც შენ აღარ ხარ ჩემო ანგელოზო! შენ წაიღე ჩემი სული და გული, შენს მერე ჩემთვის მზე დაბნელდა უშენოდ გაუსაძლისია ჩემი სიცოცხლე, გამიჩინე მოურჩენელი ტკივილი, სიზმრად მაინც მოდი, რომ მაგრად ჩაგიკრა გულში და მოგეფერო, ტირის შენი დედა, 9 წელია ტირის, იქნებ შენი დედის ცრემლები მალამოდ დაედოს შენს ქიმიანაკეთებ სხეულს, დასანანია შენი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე, საყვარელი და ლამაზი რომ იყავი ღმერთმაც თავისთვის გამოგარჩია, შენ ხარ ჩემი მარადიული ტკივილი, ვაი შენ დედას, შვილო! რა გაუ-

საძლისი სიცოცხლე მარგუნა ღმერთმა, უფალმა გაგინათოს გზა სამუდამო სასუფეველში.

დედა-ლალი

მიშიკო ქელიძის ხსოვნა

მიშიკო შვილო! წელიწადი გავიდა, მარადისობის პირველი წელი, შენი გარდაცვალებიდან კურთხეულ იყოს შენი სახელი. ერთი გაელვება იყო შენი ხანმოკლე სიცოცხლე. ჩემო ჭკვიანო, ლამაზო, გულთბილო ბიჭო. ყოველმხრივ ღმერთისაგან დაჯილდოებული იყავი. ღვთისმოყვარეობით, ნიჭიერებით, სიკეთით, ზრდილობით, თავმდაბლობით, შრომისმოყვარეობით, სწავლაგანათლებით. ახლა მამა უნდა ყოფილიყავი, ხელში შენი შვილი უნდა გყოლოდა. რამდენი კარგი საქმის გაკეთება გინდოდა, რამდენი ოცნება დაგრჩა განუხორციელებელი. გიყვარდა სხვისი დახმარება ლხინსა და ჭირში.

5 ივლისს სად შეწყდა შვილო შენი ლამაზი სიცოცხლე, სად დახუჭე თვალები. იმ დღეს ტელეფონზე გველაპარაკე დედმამას, მოგვიკითხე, გვითხარი ახლა მეჩქარება მივდივარ, საღამოს დაგირეკავთო. რატომ მოუჩქარე შვილო, სულ კარგი გზით დადიოდი და მაშინ რატომ დაგაყენეს ცუდ გზაზე? რატომ დაგემართა ის ტრაგედია? რატომ გაჯობა ბოროტმა ადამიანებმა, შენ კეთილ ადამიანს. ვინ დაიდვა შენი და ჩვენი ცოდვა. შენ ისეთი კარგი იყავი 100 წლის სიცოცხლეც ცოტა იქნებოდა შენთვის და შენი კარგი საქმეების გასაკეთებლად.

ხშირად მოდიან შენს საფლავზე მეგობრები, თანაკურსელები, თანამშრომლები, ნათესავები, ბიძები ოჯახებით, მამიდაშვილები. გიხსენებენ, განიცდიან შენს ნაადრევ გარდაცვალებას შვილო, მალე შენი დაბადების დღე იქნება 27 აგვისტოს. ეს უკვე მეორედ უშენოდ უნდა აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე სიხარული მოქონდა შენს დაბადების დღეს ჩვენთვის, შენთვის, ახლა კი მწუხარება. უსაზღვროა შენი მონატრება., ძალიან, ძალიან ძნელია შენთან განშორება. თბილისში მგონიხარ, სულ ჭიშკარზე ვიხედები, რადგან ხმას გავიგონებ, ვფიქრობ, აგერ შემოვა სახლში მიშიკოთქო, მაგრამ არა, არ ჩანხარ, რატომ? რატომ დაგვტოვე სიცოცხლით სავსე შვილო, სულ ეს კითხვა მაწუხებს.

მარად იცოცხლებს შენი სახელი შენი დედ-მამის, და-ძმის და ახლობლების გულში. უფალი შეისმენს ჩვენს ლოცვებს და შენს სპეტაკ სულს დაამკვიდრებს სასუფეველში.

შენგან გამწარებული შენი დედ-მამა, და-ძმა და ახლობლები

ეკლესიებ ნეტარი ეკეთილი საქმე ეკეთ�nc

ზაფხული ტურიზმისათვის საუკეთესო დროა. ჩვენც, მომავალი საქართველოს შვილებს, ძალიან დიდი სურვილი გვქონდა მოგვეწყო ექსკურსია, გვენახა ისტორიული კახეთი ეკლესია- მონასტრები, ციხე-სიმაგრეებით, მთელი თავისი დიდებული მშვენიერებით... ჩვენი სურვილი კიდევ დიდხანს დარჩებოდა ოცნებად, რომ არა კეთილი მეცენატი, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა და დააფინანსა ჩვენი ექსკურსია.

გვინდა, ცაგერის საჯარო სკოლის XI^ბ და XI^ბ კლასების მოსწავლეთა და მშობელთა სახელით, უღრმესი მადლობა და პატივისცემა გადავუხადოთ შპს „მური 2007“-ის ხელმძღვანელს ბატონ ბათო (რეზო) ყურაშვილს, რომელმაც ჩვენს ლამაზ ოცნებას ფრთა შეასხა, დაგვიფინანსა ძვირადღირებული ექსკურსია და დაუვიწყარი დღეები გვაჩუქა.

ლამაზი შთამბეჭდილებებით აღვსილნი დავუბრუნდით მშობლიურ მხარეს. კიდევ უფრო შეგვიყვარდა ჩვენი სამშობლო, კიდევ უფრო ძალუმად ვიგრძენით, რანი ვიყავით, რანი ვართ და ვინ ვიქნებით ხვალ, როგორც შოვუვლით და ვუპატრონებთ წინაპრების მიერ დღემდე რუდუნებით მოტანილ ჩვენს დედულ-მამულს...

კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებთ ბატონ ბათო ყურაშვილს გაწეული ყურადღებისათვის. ვუსურვებთ, კვლავ ბევრი კეთილი საქმე ეკეთებინოს ქვეყნისა და მომავალი თაობის სასარგებლოდ.

ცაგერის საჯარო სკოლის XI^ბ და XI^ბ კლასის მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები

ახალი ლექსები

ოქროს ჯაბუკიანი

ქართველებო, მოგიხმობთ

ქართველებო მოგიხმობთ,
ქართველებო, გეძახით...
ქართველებო, მოდით გონს!
ქართველებო, შეთანხმდით!!!

მტერი არ გაახაროთ,
სიტყვა მითქვამს ღვთიანი:
ძირს აროდეს დახაროთ
დროშა დავითიანი.

ამ მადლიან მიწა-წყალს
მოვლა უნდა იცოდეთ...
ვაჟკაცები ვინცა ხართ,
მამული შეიცოდეთ.

შური ღმერთმა გაცილოთ,
ცა გფარავდეთ ნათელი,
ქვეყანა არ გაწიროთ
მრავალჯერ განათელი!
22.05.2009 წ

ნატვრა

დამაცადე ცოტა ხანი,
წელულს მალამოდ მინდა ვედო.
დრო, დრო თავის მოსაფხანი
დამიტოვე, შემოქმედო!

სადაცა ვარ, გამაჩერე,
რაც არ ვიცი, მაცოდინე.
სიმართლეში დამაჯერე,
ცოტა კიდევ მაცოდვილე.

ქვეყნის მტერი დამანახე-
ეოვლგნით იმედ მიწურვილი.

სიყვარულით გამალაღე,
გამალახე სიძულვილი.
19.03.2009

სოფლის მგობრებს

ლობიო და მქონდა მჭადი,
თქვენთან ვსვამდი, თქვენთან ვჭამ-
დი.
თამაში და მახსოვს მღერა,
როგორც სოფლის თბილი კერა.

ვაგლახ, ხშირად არ მეცალა,
რომ ბოლომდე დამეცალა
სიყვარულით სავსე თასი...
ჩვენ ვიცოდით ძმობის ფასი!!!

ოფლით ბევრჯერ მოვრწყეთ ეანა,
რომ წლის სარჩო მოგვეყვანა.
ეჰ, რამდენი ვთოხნეთ მართლა,
მაგრამ ცდამ არ გაამართლა.

რადგან შრომა იყო ფუჭი,
ვერ მალავდა წყენას კუჭი.
თავისათვის რომ გვეშველა,
გავერიდეთ სოფელს ყველა.

წასულები სოფლის შარით,
ახლა სად ხართ, ეს მითხარით.
სად ვეძიო თქვენი კვალი,
რომ შეგავლოთ წამით თვალი.
10.04 2009

ჩვენი ხახელოვანი წინაპრები

გულბაათ ქავქავაძე

მოგეხსენებათ, როგორი თამადაც იყო გულბაათ ჭავჭავაძე, საქართველოში სტუმრად მყოფ ალექსანდრე იმპერატორს ისე მოსწონებია, პეტერბურგს მიუწვევია. უარი არ გაუვიდა გულბაათს. ჩავიდა იმპერიის სატახტო ქალაქში, შეიყარა მთელი სასახლე, გაიშალა დიდი სუფრა.

შეავსო ოთხლიტრიანი ყანწი ღვინით ჭავჭავაძემ, ადღეგრძელა იმპერატორი და შესვა. ყანწი რომ დაუშვა, ნახა, რომ თითქმის ყველა მამაკაცი გაქცეულიყო. იმპერატორის არდღეგრძელობა როგორ იქნებოდა, არადა, არავის შეეძლო იმ ყანწის დაცლა.

გრძელდებოდა წლიდან წლამდე გულბაათის გულბაათობა საქართველოში. თუ სადმე დაპატიჟებული არ იყო, თავად მოაწვევინებდა გიგო მოურავს სტუმრებს და ილხენდა.

ერთ დღესაც დიდხანს არ გაელვიძა— შევიდა მოურავი მასთან და დივანზე მიწოლილი, უგუნებო ნახა დიდი თამადა.

—ვუხმო, ბატონო, სტუმრებს ხომ?

—არა გიგო, დღეს მე ვკვდები. პირველი დღეა ჩემს ცხოვრებაში, გავიღვიძე და... სტუმარი არ მინდა...

რამდენიმე საათში გარდაიცვალა და გულბაათ ჭავჭავაძე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა სამძიმარს უცხადებს ვანო ფანჯარაძეს დედის
თალიკო ლიპარტელიანი-ფანჯარაძის
გარდაცვალების გამო.

გალაპტიონი:

როგორ მეკრია შვილი ადამის,
როგორ ცოცაა ადამიანი!
***
სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოთილა თითქმის,
არყოთნაგ საყვედური
არასოდეს იქმის.
***
წიწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.
***
ჩემი პოეზია-ეს არის:
აზრი, გრძნობა და მუსიკა
***
მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.

რედაქტორი
თამარ
დავითშვილიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზეფინარ
ქნელაძე

სარედაქციო კოლეგია
ეკა ფვირილიანი
მარინა სვანიძე
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს
„ფილი ენ“-ის სტამბაში.
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23711, 23499